წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

სხდომის ოქმი N2

2022 წლის 29 მარტის ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რაისა ჩანგელია. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: ომარ ქარდავა, ნანა ლემონჯავა, ნანა ქობალია, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, თემურ ქარდავა, აგრეთვე, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-ავთანდილ გაბელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი დარსალია, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის" უფროსი ლანა შენგელია, ამავე ცენტრის იურისტი პეტრე წურწუმია.

დაწყების დრო: 14: 00- სთ.

დასრულების დრო: 15: 10 -სთ

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრიში" მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

   პროექტის წარმომდგენი: ლანა შენგელია, „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის" უფროსი

2. სხვადასხვა.

კომისიის წევრებს საკითხი გააცნო „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის" უფროსმა ლანა შენგელიამ. შეხვედრაზე განხილულ იქნა საბავშვო დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის სტრუქტურული ოპტიმიზაციის გეგმა, ახალი სასწავლო წლისათვის. ასევე საუბარი შეეხო სოციალურად დაუცველი ადამიანების დასაქმებისთვის ხელშეწყობას, მათ მონიტორინგსა და ეფექტურ დელეგირებას.

გასაგებია,რომ პროცესები შეიძლება არ იყოს უმტკივნეულო,მაგრამ მერწმუნეთ აუცილებლად იქნება ბავშვზე ორიენტირებული და დაქვემდებარებული იმ სტანდარტებს,რასაც სახელწიფო ავალდებულებს სკოლამდელ დაწესებულებებს. მოგახსენებთ რომ სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების დასანერგად საქართველოს კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტები შეისწავლიან მუნიციპალურ საჭიროებებს,გეგმავენ ადგილობრივ რესურსებს და განსაზღვრავენ საბიუჯეტო სახსრებს საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ვინაიდან ჩვენ უკვე ხვალიდან სახელმწიფო პირდაპირ გვავალდებულებს სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესების ხელშესაწყობი გარემოს შექმნას,რომელიც გულისხმობს პირველ რიგში ელექტრინულ ბაზაში დარეგისტრირებას თითოეული დაწესებულების,მასში დასაქმებული პერსონალით,შესაბამისად ვერ დავასაბუთებთ არსებული სტანდარტის სისწორეს.ასევე ვერც ერთი საბავშვო დაწესებულების მენეჯერი ვერ ასაბუთებს რამ გამოიწვია ჯგუფებში აღმზრდელის თანაშემწეების ამ რაოდენობით ზრდა.რიგ შემთხვევებში ფიქსირდება ძალიან მცირე კონტიგენტიან ბაღებში ჯგუფში 13 დან 20 აღსაზრდელის შემთხვევაში 3 ზოგან 4 თანაშემწის არსებობა.

ვინაიდან ვდგავართ უდიდესი გამოწვევების წინაშე მაგალითად როგორიცაა HACCP-ის პროგრამის დანერგვა,რომელიც გულისხმობს კვების ბლოკების მომზადებას სტანდარტთან შესაბამისობაში,თითოეული ბაღის აღჭურვას ელექტრო ქურებით,რომელიც ავტომატურად გულისხმობს სამ ფაზიანი მრიცხველების დამონტაჟებას,რაც კოლოსალურ თანხებთანაა დაკავშირებული.ასევე 4 ძვირადღირებული სხვადასხვა სახეობის თერმომეტრების შეძენას ყველა საბავშვო დაწესებულებისთვის და ა.შ

ინფრასტრუქტურის მოწყობას იმგვარად,რომ ვაკმაყოფილებდეთ სტანდარტს და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ჯარიმები, რომელიც ახლავს ამ პროექტის ვერ განხორციელებას.

ასევე აღმზრდელ პედაგოგების პროფესიულ გადამზადებას,რომელსაც ვიწყებთ ახალი სასწავლო წლისთვის,რომელიც ასევე ძალიან ძვირადღირებულია და 2024 წლისთვი უნდა დასრულდეს ეტაპობრივად,განათლების სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად. ბაღების აღჭურვას სხვადასხვა სახის სათამაშოებით,როგორც შიდა ისე გარე სივრცისთვის.სააღმზრდელო მასალებით უზრუნველყოფას,სივრცის დაგეგმარებას ბავშვთა რაოდენობიდან გამომდინარე,უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას და მენიუს გადახედვას,რომელიც ასევე დაწუნებული იქნა სპეციალისტების მიერ .

დიახ მეგობრებო,ეს არის ის მცირე ჩამონათვალი,რომელიც უახლოეს პერიოდში უნდა განხორციელდეს და რომლისთვისაც სახელმწიფოს გაწერილი აქვს ვადები.წინააღმდეგ შემთხვევაში თუკი ეტაპობრივად ვერ მოვახდენთ პროცესების მართვას,მერწმუნეთ 2030 წლისთვის მივიღებთ კატასტროფულ შედეგს,როცა ბაღები ვერ გაივლიან ავტორიზაციის პროცესს და დავიხურებით.

მერწმუნეთ,ეს უფრო მტკივნეული იქნება ვიდრე მიმდინარე პროცესები. შესაბამისად,დღევანდელი სტრუქტურული ოპტიმიზაციის პროცესი მიმართულია ავტორიზაციის პროცესების ხელშეწყობისთვის.

თათბირზე რომელსაც ვუძღვებოდი მე და ცენტრის იურისტი მოხდა ყველა ბაღის გამგის დაუწყება.უფრო მეტიც,ადგილზე შევხვდით ასევე ყველა თანამშრომელს, რომლებმაც გამოთქვეს ჩვენთან შეხვედრის სურვილი.

მეგობრებო,ბავშვი არის ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი და ვალდებული ვართ მივყვეთ იმ სტანდარტებს,რომელიც მისთვის ღირსეული სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სივრცის უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

მოგახსენებთ, რომ ჩემი მართველობის პერიოდში გაზრდილმა მონიტორინგმა გამოავლინა ასევე ბავშვების დასწრების სიმწირე წინა წლებთან, თუნდაც პანდემიის წლებთან შედარებით.რის გამოც ვფიქრობთ გადაიხედოს სატენდერო მონაცემები და გამონთავისუფლებული თანხები მიმართულ იქნას ისევ და ისევ ბავშვთა საჭიროებებისთვის.

ასევე მიღებულია გადაწყვეტილება,რომ ჩატარდეს 2021-2022 წლის ფინანსური შემოწმებისა და შესაბამისობის აუდიტი.

აღნიშნული პროცესები იქნება გამჭვირვალე და ინფორმაცია ეტაპობრივად მიეწოდება საზოგადოებას.

საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ რა კრიტერიუმებით ანთავისუფლებთ თანამშრომლებს და რა თანხის ეკონომიას გაძლევთ ეს რეორგანიზაცია?ან შეძლებთ თუ არა ეს თანამშრომლები გვყავდეს რეზერვში? აქვე იკითხა, მედიის წარმომადგენელმა ბერდია კალანდიამ თუ რამდენი თანამშრომელი თავისუფლდება და შესაძლებელია თუ არა თანამშრომლების მობილობით გადაყვანა? რაზეც მერის მოადგილე თამარ ბელქანიამ უპასუხა, რომ ყველაფერი გასათვლელია და ჩაჯდება კანონში.

ამით საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომამ დაასრულა მუშაობა.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /რაისა ჩანგელია/